შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№38 (9.752)

1-8 ოქტომბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.2

საქართველოს ეწვია რომის პაპი ფრანცისკე

წინასაარჩევნო განწყობა

გვ.3

„შირაქის“ ობიექტივში

გვ.2

„თელავინო“ – 2016

„პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია ჩემი ბავშვობის ჩანაფიქრი გახლდათ“

გვ. 5

სამხედრო სამსახურის განახლებული იერსახე

გვ.3

ნიკო ფიროსმანის ნახატებს რესტავრაცია ჩაუტარდება

გვ.2

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

გიორგი კვირიკაშვილმა აგარაში ხილის სპირტის მწარმოებელი საწარმო გახსნა

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აგარაში, ხილის სპირტის მწარმოებელი საწარმო გახსნა. როგორც მთავრობის ადმინისტრაციაში აცხადებენ, 4,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია და კიდევ ერთი ახალი საწარმო შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში გაიხსნა.

მათივე ცნობით, თანამედროვე, იტალიური დანადგარებით აღჭურვილი საწარმო არასტანდარტულ ხილს იბარებს, რითაც 860—იანი სპირტი მზადდება.

პრემიერის განცხადებით, არასტანდარტული ხილის ჩაბარება ხშირად პრობლემა იყო და ახალი ქარხანა, ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იქნება.

მისივე თქმით, საწარმო ბევრ ადამიანს ასაქმებს, როგორც პირდაპირი წესით, ასევე, არაპირდაპირი წესით, იქიდან გამომდინარე, რომ ხილს შეისყიდის, რაც მნიშვნელოვანია სოფლად მცირე მეურნეობების წახალისებისთვის.

"მნიშვნელოვანია, რომ საწარმომ გამოიყენა აგროკრედიტი, ეს არის წელიწადში 1%-იანი სესხი, რომელიც მსგავსი წარმოებების წახალისებისთვის, ძალიან კარგი საშუალებაა. ასე რომ, ყველაფერი ერთად - უპირველეს ყოვლისა, კერძო მეწარმის ინიციატივა და მთავრობის მხრიდან გადადგმული სწორი ნაბიჯები ასეთ შედეგს იძლევა", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, პროდუქცია, ძირითადად, ორიენტირებულია ექსპორტზე.

"საწარმოში ფუნქციონირებს ლაბორატორია, რომელიც პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს. საწარმო, დღეში 50 ტონა ხილის მიღება-გადამუშავების საშუალებას იძლევა, საიდანაც 3 ტონა მაღალი ხარისხის ხილის სპირტი იწარმოება. საწარმოში მუდმივად დასაქმებულია 50 ადამიანი, რომელთა უმეტესობა ადგილობრივია. კომპანია, საკუთარი ნედლეულით, სხვადასხვა ხილის არომატის მქონე სპირტიანი სასმელების წარმოებასაც გეგმავს, რის შედეგადაც, დასაქმებულთა რაოდენობა გაიზრდება", - განმარტავენ ადმინისტრაციის პრესსამსახურში.

ნიკო ფიროსმანის ნახატებს რესტავრაცია ჩაუტარდება

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „ფიროსმანის აღდგენის" მასშტაბური პროექტი იწყება. პროექტის პირველ ეტაპზე რესტავრაცია ორ ნამუშევარს - „თამარ მეფესა" და „შოთა რუსთაველს" ჩაუტარდება, რომლებიც დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში მდებარე ფიროსმანის მუზეუმის კოლექციაშია დაცული.

აღნიშნული ნამუშევრები ნიკო ფიროსმანის სახელობის თბილისის მუზეუმში დღეს რამდენიმე საათით გამოიფინება, მათი მდგომარეობა შემოწმდება და ეროვნულ მუზეუმში გადაიგზავნება. სამინისტროს ცნობით, სურათებს რესტავრაციას შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის სარესტავრაციო სახელოსნოს სპეციალისტები - ნანა მანაგაძე და ეველინა კარსელი ჩაუტარებენ.

რესტავრაციის პროცესი სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება, შემდეგ კი რესტავრირებული ორივე ნამუშევარი თიბისი გალერეაში (მარჯანიშვილის 7), მირზაანის ფონდში დაცული ნიკო ფიროსმანაშვილის სრულ კოლექციასთან ერთად გამოიფინება.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, სარესტავრაციო პორტრეტების შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისინი 1948 წლიდან ინახებოდა ფილოლოგ იოსებ მეგრელიძისა და მისი მეუღლის, თეატრთმცოდნე ნინო შვანგირაძის კერძო კოლექციაში. 1989 წელს, ოჯახმა ეს ნამუშვრები „ხალხთა მეგობრობის მუზეუმს" გადასცა, საიდანაც სურათები ნიკო ფიროსმანის მირზაანის მუზეუმში მოხვდა.

„ამ დროიდან, ნამუშევრები მუზეუმის კოლექციაში ინახება. ნახატების მდგომარეობა შესწავლილია. მზადაა სარესტავრაციო პროექტიც. სპეციალისტების თქმით, მანამდე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების გამო, ნახატებს მრავალმხრივი დამუშავება ესაჭიროება. რესტავრაციის პროცესი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში მოქმედი საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ განხორციელდება", - განაცხადეს სამინისტროში.

ნახატებს რესტავრაცია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და „თიბისი ბანკის" დაფინანსებით ჩაუტარდება.

საქართველოს ეწვია რომის პაპი ფრანცისკე

რომის პაპი ფრანცისკე თბილისში ჩამოვიდა. საქართველოს დედაქალაქის აეროპორტში პონტიფექსს დახვდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე და პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. 1 ოქტომბერს რომის პაპი ფრანცისკე თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე აღავლენს წმინდა მესას და დამსწრე საზოგადოებას ქადაგებით მიმართავს. რომის პაპი შეხვდება ასირიულ-ქალდეური საზოგადოების და საქართველოში კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს, რომის პაპი ფრანცისკე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან და თანმხლებ პირებთან ერთად ეწვევა მცხეთას, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს დაათვალიერებს და მისასალმებელ სიტყვას წარმოთქვამს. საქართველოში რომის პაპის, ფრანცისკეს ვიზიტის გასაშუქებლად აკრედიტებულია მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებების 150-ზე მეტი ჟურნალისტი. რომის პაპი საქართველოში ვიზიტს 2 ოქტომბერს დაასრულებს და თბილისიდან აზერბაიჯანში გაემგზავრება.

საქართველოში რომის პაპის, ფრანცისკეს ვიზიტის გამო, თბილისის აეროპორტიდან ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ გზაზე ე.წ. საპროტესტო დგომის აქცია გამართა მართლმადიდებელი მრევლის ნაწილმა. აქციის ორგანიზატორთა განცხადებით, პაპი საქართველოში ჩამოდის პროზელიტური მიზნით, რაც მართლმადიდებლობის წინააღმდეგაა მიმართული. ეს შეფასება 28 სექტემბერს გავრცელებულ განცხადებაში უარყო საქართველოს საპატრიარქომ, რომელმაც მრევლს სიმშვიდისკენ მოუწოდა. საპატრიარქოს განცხადებით, რომის პაპი ფრანცისკე საქართველოს ესტუმრება პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მოწვევით. „საქართველოს საპატრიარქო პატივისცემით მიესალმება სტუმარს და იმედოვნებს, რომ მისი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას და რეგიონში მშვიდობის განმტკიცებას. ყოველად მიულებლად მიგვაჩნია ამ ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი სასულიერო პირის მიერ საჯარო სივრცეში გამოთქმული მკვეთრად უარყოფითი პოზიცია. პაპი მესას კათოლიკეებისთვის ატარებს და ეს არ შეიძლება ჩაითვალოს პროზელიტიზმის გამოვლინებად, როგორც ამას ზოგიერთები მიიჩნევენ" - ნათქვამია საპატრიარქოს მიერ 28 სექტემბერს გავრცელებულ განცხადებაში.

რომის პაპი – მსურს გულწრფელად ვემეგობრო თქვენს ქვეყანასა და ხალხს

საქართველოში მეგობრობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ამიტომ მსურს, გულწრფელად ვემეგობრო თქვენს ქვეყანასა და ხალხს, - ამის შესახებ რომის პაპმა, ფრანცისკემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრისას განაცხადა.

"ქართველ ხალხს სჩვევია ვაზის ნაჟურით შესვას მისი ყველაზე ძვირფასი ფასეულობების სადღეგრძელო, სიყვარულთან ერთად, რომელიც აღგვამაღლებს. აქ განსაკუთრებული ადგილი უკავია მეგობრობას. ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია, კვლავ შეგვახსენებს პოეტი. მსურს, გულწრფელად ვემეგობრო თქვენს ქვეყანასა და ხალხს, რომელიც არ ივიწყებს მიღებულ სიკეთეს და რომლის სტუმართმოყვარე ბუნება სრულიად მიესადაგება იმედით აღსავსე მისი ცხოვრების წესს. მიუხედავად უამრავი სირთულისა, ეს დადებითი სულისკვეთებაც ხომ სულიდან იღებს სათავეს. სწორედ ამიტომაც შესთხოვენ ღმერთს სადღეგრძელოში სუფრასთან მშვდობას და მტრებსაც კი არ ივიწყებენ ამ სადღეგრძელოში. ღმერთმა გააძლიეროს ჩვენში კეთილის სურვილი და ნება ძმური ერთობისა, მშვიდობის, სახარების გასაცხადებლად", - აღნიშნა რომის პაპმა.

14 წლის წინ მოპარული ვან გოგის ნახატები იტალიაში პოლიციამ იპოვა

მე-19 საუკუნის ნიდერლანდელი პოსტ-იმპრესიონისტი მხატვრის, ვინსენტ ვან გოგის ორ ცნობილ ნახატს იტალიის ქალაქ ნეაპოლში, მაფიასთან ბრძოლის პოლიციამ მიაკვლია. ნახატები ამსტერდამის ვან გოგის მუზეუმიდან 2002 წელს მოიპარეს.

როგორც ვან გოგის მუზეუმში აცხადებენ, 14 წლის წინ ქურდებმა ტილოები ჩარჩოებიდან ამოიღეს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ისინი სერიოზულად არ დაზიანებულან და საკმაოდ კარგ მდგომარეობაში არიან.

ვან გოგის მოპარული ნაშრომები „ზღვის ხედი შევენინგენთან" და „კრება ტოვებს რეფორმატორულ ეკლესიას ნუენენში" მხატვარმა კარიერის დასაწყისში შეასრულა. ნეაპოლის პოლიცია აცხადებს, რომ ისინი კამორას კრიმინალური კლანის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად აღმოაჩინეს. პოლიციის განმარტებით, ნახატებს შეუფასებელი ღირებულება გააჩნიათ.

ვინსენტ ვან გოგი მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი და ცნობილი მხატვარია, რომელმაც ათწლეულის განმავლობაში დაახლოებით 2100 ხელოვნების ნიმუში, მათ შორის 860 ფერწერული ტილო შეასრულა.

ცესკო ხმებს ონლაინ რეჟიმში დაითვლის

საქართველოს ისტორიაში პირველად, ცესკო-ში არჩევნების დღეს ხმის დათვლის პროცესის ტრანსლაცია მოხდება. აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებს ცესკო-ს თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ განუცხადა.

მისი თქმითვე, ეს კეთდება იმისთვის, რომ საზოგადოებამ დაინახოს, თუ როგორ ითვლის ცესკო ხმებს.

"მნიშვნელოვანი სიახლე, რომელსაც ცესკო საზოგადოებას პირველად შესთავაზებს არის ის, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხმის დათვლის პროცესის ტრანსლაცია იქნება. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება ინტერნეტის საშუალებით, ონლაინ რეჟიმში ცესკო-ს ოფიციალური ვებ-გვერდის და სოციალური ქსელების მეშვეობით დააკვირდეს ხმის დათვლის პროცედურას, გადაღების 360 გრადუსიანი ტექნოლოგიის გამოყენებით",- აღნიშნა ჟვანიამ.

ქართული ჭიდაობა

სიღნაღის რაიონის სოფელი საქობოში ჩატარდა **ზაზა ყარაბულაშვილის სახელობის ტურნირი** ქართულ ჭიდაობაში.

ჩვენი ნაკრები, რომელიც დაკომპლექტებული იყო ქედების და მაჩხაანის ზონის მოჭიდავეებით, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდნენ. პირადში გვასახელეს და ჩემპიონები გახდნენ:

გიორგი ხუციანიძე. 27 კგ
გიორგი ციხელაშვილი 40 კგ
გიორგი არაბული მძიმე წონაში
II- ადგილი დავით უსტარაშვილი 50 კგ
II - ადგილი გიორგი მჭედლური 27 კგ
III - ადგილი ნიკა ხუზაურაშვილი 34 კგ

ტურნირს, რომელიც ჩაატრა ქართული ჭიდაობის ფედერაციამ ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: დეპუტატობის კანდიდატი ქართული ოცნებიდან, ყოფილი გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, სიღნაღის გამგებელი დავით ჯანიკაშვილი. ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი.

„თელავინო"–2016

სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ქართული ღვინის კვირეულის ფარგლებში, ქალაქ თელავში გამართულ ტრადიციულ ღვინის ფესტივალს „თელავინო–2016"-ს დაესწრო.

ლევან დავითაშვილმა ფესტივალის სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ ,,თელავინო" ყოველწლიურად უფრო მასშტაბურ სახეს იღებს და მეტ მონაწილესა თუ სტუმარს იზიდავს.

,,კახეთი ქართული მეღვინეობის უძველესი და ტრადიციული რეგიონია. მისასალმებელი იქნება თუ მომავალში ფესტივალი არა მხოლოდ თელავში, არამედ კახეთის სხვა ქალაქებშიც გაიმართება. მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციას. ყოველწლიურად ,,თელავინოს" უფრო და უფრო მეტი ტურისტი სტუმრობს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ფესტივალი პოპულარობას იძენს და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ტურისტულ კალენდარში. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტურად გააგრძელებს მსგავსი ღონისძიებების მხარდაჭერას, რათა ქართული ღვინის ცნობადობა კიდევ უფრო გაიზარდოს" , - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

„თელავინო" კახეთის მეღვინეთა გილდიის ორგანიზებით და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით უკვე მესამე წელია იმართება. ფესტივალის მიზანი ქართული მევენახეობა-მეღვინეობის კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციაა.

წლევანდელ ფესტივალზე საკუთარი პროდუქცია წარმოადგინეს როგორც ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა, ასევე მცირე, ოჯახურმა მარნებმა. „თელავინო 2016"-ის სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ და ექსკლუზიურად დაბალ ფასში შეეძინათ სხვადასხვა სახეობის ღვინო, ჭაჭა და სხვა ალკოჰოლური თუ უალკოჰოლო სასმელები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ტრადიციული რეწვის ნიმუშებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. მოეწყო რთველის ტრადიციებთან, ასევე მეღვინეობასთან დაკავშირებული ფოტოგამოფენა და ეთნოგრაფიული ექსპოზიციები. ადგილობრივმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა ფესტივალის სტუმრებს საკუთარი შემოქმედება გააცნეს და განსაკუთრებული საზეიმო განწყობა შექმნეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, ქართული ღვინის კვირეული 22 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით აღინიშნება. ღონისძიების პარტნიორები არიან ასოციაცია ქართული ღვინო, საქართველოს სომელიეთა ასოციაცია, კახეთის მეღვინეთა გილდია, ღვინის კლუბი და ღვინის ტურიზმის ასოციაცია.

სამხედრო სამსახურის განახლებული იერსახე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს, ათეული წლებია, სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩასტარებია. აქ მისულს თვალში მოგხვდებოდათ ბევრი პრობლემა, რომელიც დრომ და უსახსრობამ ერთად დააგროვა: ოთახებში წლების წინ ჩატარებული რემონტი მოძველდა, ჭერიდან წყალი ჩამოდიოდა და ისედაც შელახულ ოთახებს მეტად აზარალებდა; ძველი, ამორტიზებული ელექტროგაყვანილობა ხშირად ხდებოდა სხვადასხვა პრობლემის სათავე. სამსახურის ხელმძღვანელის ცვლილების შემდეგ დღის წესრიგში დადგა შენობის რეაბილიტაციის საკითხი. **თუ რა სამუშაოები განხორციელდა მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში, ამაზე სამსახურის ხელმძღვანელი** მამუკა ალადაშვილი საუბრობს:

-„2016 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში ჩატარდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, შეკეთდა ჭერი, სრულიად შეიცვალა ელექტროგაყვანილობა, აშენდა და შეკეთდა ეზოს დაზიანებული მესერი. ორი ათეული წელია, რაც სამსახურის თანამშრომლები სასმელ წყალს სახლებიდან ან სხვა ორგანიზაციებიდან ეზიდებოდნენ. დღეისათვის ეს პრობლემა მოიხსნა, რადგან ოცწლიანი პაუზის შემდეგ სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ფირმა „კამბისენემ“ (ხელმძღვანელი ოსვალდ ჭაბაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი თამაზ წიკლაშვილი) ჩაატარა.

ეს სამუშაოები არ ჩატარდებოდა, რომ არა ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო **გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს,** რომლის ძალისხმევითაც გამოყო თანხები სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად; მადლობა ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს და მის ხელმძღვანელს **დავით ფხოველიშვილს,** სააქციო საზოგადოება „კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს აბონენტთა მომსახურების სერვის ცენტრს და მის ხელმძღვანელს **ვანო გიგოლაშვილს** გაწეული დახმარებისათვის“.

წინასაარჩევნო განწყობა „შირაქის“ ობიექტივში

დილიდან გეზს სოფლებისკენ ვიღებთ. პირველად სოფელ გამარჯვებას ვსტუმრობთ და სოფლის ცენტრში თავშეყრილ მამაკაცებს ვესაუბრებით. ჩვენი კითხვები არჩევნების თემას შეეხებოდა და ამ თემის ირგვლივ ვტრიალებთ, როგორ აფასებენ არსებული მთავრობის ოთხწლიან მუშაობას, როგორი იქნება მათი არჩევანი, რას ელიან არჩევნებისგან, როგორ წარმოუდგენიათ შემდგომი ცხოვრების პერიოდი და რა სურთ, რომ სოფელში გაკეთდეს?!

-„სოფელში უმუშევრობა პიკს აღწევს, ამიტომ ახალგაზრდების უმრავლესობა წასულია. პირადად მე ვლადიკავკაზში დავდივარ და ფულს იქ ვშოულობ, ახლაც იქ უნდა წავიდე. იქ ისეთი პირობებია, პომიდორიც კი ათი ლარი ღირს, მაგრამ ფულიც აქვს ხალხს რომ იყიდოს, აქაური ბავშვებიც კი სკოლიდან გამოდიან და თურქეთში და იტალიაში მიდიან სამუშაოდ, რომ ოჯახს დაეხმარნენ. აქ მხოლოდ სკოლა და ბაღია, იქ რამდენი ადამიანიღა დასაქმდება?! მართალია, სოფელში ბევრი რამე გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია. ინტერნეტკაფესავით გაიხსნა რაღაც, იქ დადიან და სწავლობენ, საბანკო მომსახურება, გადარიცხვა, ჩარიცხვა და პენსიის აღება კი ადგილზევე ხდება, მაგრამ მარტო ეს საქმეს ხომ ვერ უშველის?”-ამბობს ორი შვილის და 4 შვილიშვილის პაპა ზაზა სულაშვილი.

პრობლემების მიუხედავად გამარჯვებელები ამბობენ, რომ გზისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება დიდი საქმეა, დასაქმების პრობლემასაც თუ მოაგვარებენ სოფლად, მაშინ მოსახლეობა რეგიონებს კვლავ დაუბრუნდება.

სოფელ არბოშიკში საკმაოდ ხალხმრავალი ბირჟა დაგვხვდა, არბოშიკელებს იუმორის გრძნობაც არ დაუკარგავთ და ელექტროენერგიის ხშირად ჩაქრობაზე ასეთი ხუმრობაც მოუგონიათ,- კაცს შიშით ვეღარ დაუცემინებია, რომ დაცემინებაზეც დენი ქრებაო!ეს პრობლემა უპირველესი აღმოჩნდა მათთვის. წყალი რამდენიმე უბანში გაკეთებულა კიდევ, მაგრამ ეს საკითხი ზოგიერთ უბნებში კვლავ დღის წესრიგში დგას. არბოშიკელებმა ტრაქტორების უქონლობაც დაიჩივლეს, მოგვცენ ტრაქტორები სოფლებს რომ მიწები დავამუშაოთო, ერთი ტრაქტორი გვაქვს და ისიც აღარ ვარგა, არც გვყოფნისო,-ამბობს ელბერტ გოგაშვილი. -„ ვენახებში ყურეზე და ვაკეში მისასვლელი გზების მოპირკეთებაა საჭირო, ერთი გრეიდერი გვინდა, აატარონ და ჩაატარონ, რომ გზები დახევებულია, ვეღარ დავდივართო,” -ამბობს ზურა ალადაშვილი...

არბოშიკის მოსახლეობა მოუგვარებელ პრობლემებზე საუბრობს, მაგრამ თავიანთ პოზიციას ღიად აფიქსირებს და ამბობს, რომ „ქართულ ოცნებაზე“ უკეთეს არჩევანს ვერ ხედავენ, არც ფარავენ, რომ ხმას „ქართულ ოცნებას“ და მის მაჟორიტარობის კანდიდატს მისცემენ, სხვა პოლიტიკურ ძალებს კი, სააგიტაციოდ, როგორც თავად ამბობენ, მათ ბირჟაზე არ აჭაჭანებენ. სამთავრობო გუნდის პოლიტიკოსებიდან საუკეთესო მუშაობით ვერავის გამოყოფდნენ, თუმცა დადებითად აფასებდნენ ირაკლი ღარიბაშვილის მუშაობას. ისინი კმაყოფილები არაინ იმ კანონით, რომ მესამე შვილზე დედას 150 ლარი ეძლევა, რომ დეკრეტული საშვებულებო 4 თვიდან 6 თვემდე გაიზარდა და დედას უფლება აქვს, 2 წელი უხელფასო შვებულებით ისარგებლოს. ასევე მადლიერებას გამოთქვამდნენ სოფლის გარეგანათების მოწყობისა და საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის გამო.

რაც არ უნდა სასაცილოდ მოგვეჩვენოს, სოფელ ზემო მაჩხაანის ცენტრში ასფალტირებული გზის პირას მსხდარმა კაცებმა პრეტენზია სოფლის ცენტრში ჯიხურის წინ ორსაფეხურიანი კიბის მოუწესრიგებლობაზე გამოთქვეს. მთელი დღე აქ ვზივართ და ვუყურებთ, ალბათ, ათამდე ადამიანმა მოიტეხა ფეხი აი, მანდ ორი საფეხური კიბის არარსებობის გამო, ყველამ იცის, რომ ეგ გასაკეთებელია, მაგრამ ვინ გვიგდებს ყურს. ჩვენი პასუხი ამ პრეტენზიაზე ის იყო, რომ თუ მთელი დღე ისედაც აქ სხედან და ამ საფეხურებზე ხალხის წაქცევაზე საუბრობენ, ერთ დღეს სულაც ნახევარი საათი ყველას ერთად რომ მოეწადინებინა, შეეძლოთ თავადვე გაეკეთებინათ ორი საფეხური, მაგრამ ეტყობა, ამისთვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ჩასვლა, პროექტის გაკეთება და სპეც ჯგუფების მუშაობაა საჭირო(ეს ხუმრობით). ამ სოფელში ერთადერთი და ყველაზე მთავარი წყლის პრობლემა ყოფილა. ისინი აცხადებდნენ, რომ სამ დღეში ერთხელ მოდის წყალი ორისამი საათით და ისიც ძალიან ბინძური და ჭუჭყიანი, ამიტომ არბოშიკიდან ეზიდებიან სასმელ წყალს. სოფელს გასულ წელს სკოლის შენობა დაეწვა, თუმცა მადლიერები არიან, რომ უკვე ჩამოვიდა ახალი სკოლის მშენებლობის დაწყების დამაკეტებული პროექტი, 2017-18 წლისთვის სოფელს სრულიად ახალი სკოლა ექნება.

-„მე, პირადად, მხარს ვუჭერ „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილ კანდიდატს ორი რაიონის დეპუტატობის მანდატზე ირაკლი შიოლაშვილს და მისსავე პარტიას, მაქვს იმედი, მხარს ვუჭერ და მჯერა მათი. სოფელშიც იგივე განწყობაა, მოსახლეობის დიდი პროცენტი მათკენ იხრება.”-ამბობს სოფლის ცენტრში მყოფი ამ სოფლის დამსახურებული პედაგოგი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვაჟა მოსულიშვილი.

სოფელ ოზაანის მოსახლეობას, როგორც შეხვედრისას აღმოჩნდა, ყველაზე მეტად სკოლასთან მისასვლელი გზის მოპირკეთება და საბავშვო ატრაქციონის გაკეთება აწუხებს, რაც ქართული ოცნების მიერ სადეპუტატო მანდატით წარდგენილი კანდიდატისთვის უკვე ცნობილი ყოფილა და მოსახლეობასთან შეხვედრისას პირობა დაუდვია, რომ ამ საკითხს მომავალი წლის გეგმაში აუცილებლად გაითვალისწინებენ და მოგვარდება. სოფელი ასევე კმაყოფილებას გამოთქვამს საბავშვო ბაღის თანამედროვე სტანდარტების დონეზე გაკეთების და ბავშვთა კვების რაციონის გაუმჯობესების გამო.

გაზეთ „შირაქის” მიერ ამ სოფლების მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითვების შედეგად 80 გამოკითხულიდან 64 -მა ადამიანმა ქართულ ოცნებას და, შესაბამისად, მათ კანდიდატს ირაკლი შიოლაშვილს დაუჭირა მხარი. 2 ბიულეტენით დაფიქსირდა პარტია „ნაციონალური მოძრაობა“, 2 ხმა „ლეიბორისტებს“ მიაკუთვნეს, 7 - „პატრიოტთა ალიანსს”, 4 ნინო ბურჯანაძის პარტიას, ხოლო 1 ბიულეტენი გადახაზული აღმოჩნდა.

გაზეთმა „შირაქმა“ ასევე გამოიკითხა ხალხის განწყობა ქალაქ დედოფლისწყაროში.

72 წლის მამაკაცი: „ოცნებას ვაძლევ ხმას. კარგი ხალხია და სხვა არჩევანი არც გვაქვს. აბა, „ნაციონალურ მოძრაობას“ ხომ არ ავირჩევ. სიწყნარეა, დაჭერები, შიში და ტერორი აღარ არის და ამიტომ ქმ პარტიას ვემხრობი. გვახსოვს ადრე რაც ხდებოდა და საპატიმროები როგორ გაავსეს, ამას აღარ დავუშვებთ“.

45 წლის ქალი: „ქართულ ოცნებას“ ვუჭერ მხარს. ბევრი რამ გააკეთეს. ქვემოთ, ე.წ. „მაზოვკაში“ ვცხოვრობ და ვხედავ, რომ იქაც ბევრი რამ გაკეთდა. გარე განათება და გზები ყველგან მოწესრიგდა. მასიურად ყველაფერი გაკეთებულია. მიმაჩნია, რომ, ზოგადად, ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ“.

48 წლის ქალი: „ჯერ არ გადამიწყვეტია რას ვიზამ, მაგრამ ალბათ, „ქართულ ოცნებას“ მივცემ ხმას... ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ძალა იქნება არჩევნებში გამარჯვებული“.

67 წლის ქალბატონი: „ირმა ინაშვილს, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერს ვუჭერ მხარს. პირადად ახლოდან არ ვიცნობ, მაგრამ რასაც ეკრანზე ვუყურებ, მომწონს, კარგი ადამიანია და ძალიან კარგი შთაბეჭდილება მაქვს. ვნახოთ რა იქნება“.

50 წლის ქალი: „ჩემი სიმპათიები უფრო მოქმედი ხელისუფლებისკენ იხრება. ვფიქრობ, რომ გაამართლეს ხალხის იმედები. მოსამსახურე ვარ და რა თქმა უნდა მხარს დავუჭერ. მიმაჩნია, რომ ერთი შანსი კიდევ უნდა მივცეთ ამ ხელისუფლებას.

53 წლის მამაკაცი: „აუცილებლად მივდივარ არჩევნებზე, ხმას კი „ქართულ ოცნებას“ ვაძლევ. რავიცი, აკეთებენ რაღაცრაღაცეებს. კარგი პროგრამა აქვთ და ხალხის დასაქმებას აპირებენ. ხელისუფლების გვერდით ვარ“.

ქალბატონი 46 წლის: „ქართულ ოცნებას“ დავუჭერ მხარს, რადგან ბევრი რამ გააკეთეს დედოფლისწყაროში. გაიხედეთ და ნახავთ, ყველა უბანს შეეხო ცვლილებები. საბავშვო ბაღები, გზები, განვითარება თვალშისაცემია.

55 წლის მამაკაცი: „აუცილებლად უნდა წავიდე, აბა ჩემს მოვალეობას ვინ მოიხდის? ირაკლი ალასანიას ვაძლევ ხმას. მიმაჩნია, რომ მებრძოლი, პრინციპული და ძალიან გამოცდილი პიროვნებაა და ბევრს შესძენს ჩვენს ქვეყანას“.

73 წლის ქალბატონი: „თარხან-მოურავის მჯერა, მის საუბარს რომ ვისმენ, შეუძლებელია არ ენდო. ყველა სფეროზე საოცარ ანალიზს აკეთებს და იმედი მაქვს, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ წაგვადგება, ამიტომ მათ დავუჭერ მხარს“.

82 წლის ქალბატონი: „ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს. მაშინ მოვიფიქრებ, როცა ხმის მისაცემად კაბინასთან მივალ და სიას გადავხედავ. მხარს კი ისეთ გუნდს დავუჭერ, ვინც ხალხის მხარეს იქნება“.

37 წლის ქალბატონი: ახლა რომელი პარტიაც არის, ის უფრო ახლოსაა ჩემს მოსაზრებასთან. ვფიქრობ, რომ მხარს ისევ „ქართულ ოცნებას“ დავუჭერ“.

ლალი მეხრიშვილი
ილია მარტყოფლიშვილი

რესურს კაბინეტები და ინტეგრირებული სწავლება

ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში წლებია, სერიოზული ძვრები მიმდინარეობს სპეციალური საგანმანეთლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების პირობების გაუმჯობესებაზე, საჯარო სკოლების რესურს ოთახებით აღჭურვაზე, მათთვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე.

ჩვენ ამ დღეებში ვიმყოფებოდით სოფელ გამარჯვების, ოზაანის, არბოშიკის, მირზაანისა და ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლებში სწორედ ზემოაღნიშნული რესურს კაბინეტების მოსანახულებლად.

თითქმის ერთნაირი სტანდარტების მიხედვით გარემონტებულ-აღჭურვილი რესურს ოთახების დათვალიერების შემდეგ აღფრთოვანებულებმა, გავითვალისწინეთ რა ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეთა დიდი კონტიგენტი, სკოლის დირექტორს მაია ხუნაშვილს და სპეც.პედაგოგს ეკა წიქარიშვილს კომენტარისთვის მივმართეთ.

ქალბატონო მაია, როგორც სკოლის დირექტორს, რამდენად სასარგებლოდ მიგაჩნიათ სკოლებში რესურს კაბინეტების გახსნა და აქ მიმდინარე მეცადინეობები, ზოგადად, რა მუშაობას ეწევა სკოლა ამ ბავშვების მიმართ, რას აძლევს მათ ინკლუზიური განათლება?

-ყველას კარგად მოგეხსენებათ, ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ერთად. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას.

სკოლაში გვაქვს ორი რესურსოთახი. ერთი განთავსებულია ზემო მაჩხაანის სკოლის შენობაში, მეორე მირზაანის სკოლის შენობაში. ინკლუზიურ სწავლებაში ჩართულია 10 სსსმ მოსწავლე. ამასთან, პედაგოგები აღჭურვილნი არიან სათანადო ლიტერატურით და გადიან შესაბამის გადამზადებას ტრენინგებზე. თითოეული მოსწავლისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი.(ი.ს.გ.) და მათ მიერ შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საგნებში. რესურსოთახში გვაქვს სასწავლო რესურსები, კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერები, მუსიკალური აპარატურა, რბილი ავეჯი, შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა და ინვენტარი.

მოსწავლეები ხალისით და მაღალი მოლოდინით სტუმრობენ რესურსოთახს. სსსმ მოსწავლეები გაკვეთილზე სპეც. პედაგოგებთან ერთად მუშაობენ ი. ს.გ. მიხედვით და იღებენ შესაბამის შეფასებას.

სკოლაში დაგეგმილი გვაქვს კიდევ უფრო მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების შექენა სსსმ მოსწავლეების განვითარებისთვის - ჩვეული ენერგიულობით გვიყვება ქალბატონი მაია და გვჯერა, თავს არ დაზოგავს სკოლაში არამარტო ამ მიმართულებით, არამედ ნებისმიერი ინოვაციური პროექტის მოსაზიდად სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის რესურს კაბინეტის მუშაობის უფრო

კონკრეტულ დეტალებსა და სსსმ მოსწავლეთა ინკლუზიური განათლების თაობაზე გვესაუბრება სკოლის სპეც.პედაგოგი ეკა წიქარიშვილი.

-ქალბატონო ეკა, როდიდან მუშაობთ აქ, სად და როდის მიიღეთ სპეციალური განათლება, რამდენი მოსწავლე გყავთ და რა ინტერვალით ამეცადინებთ, ძირითადად რომელი სტატუსის მქონენი არიან და თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის სპეც.გაკვეთილები, რა შედეგებზე გადიხართ, რამდენად არიან ადაპტირებულნი სასკოლო გარემოში, როგორია მათ მიმართ თანატოლთა დამოკიდებულება, იგი გამოიხატება თანაგრძნობაში, სიბრალულში თუ უბრალოდ მეგობრობასა და თანასწორობაში, რამდენად არიან დაინტერესებულნი და კმაყოფილნი მათი მშობლები ამ ყველაფრით და ბოლოს, როგორც პედაგოგს, რა მოლოდინები გაქვთ, რას ელოდებით მომავალში ამ ბავშვებისგან, სადამდე შეიძლება აიწიოს მათმა შესაძლებლობებმა?

- პირველ რიგში მოგახსენებთ, რომ განათლებით ვარ ფსიქოლოგი. 2014 წლიდან ჩავერთე ინკლუზიურ სწავლებაში და ვარ სპეციალური მასწავლებელი ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში. სპეციალური მასწავლებელი ეხმარება საგნის მასწავლებლებს გაკვეთილის დაგეგმვასა და ი.ს.გ.(ინდივიდუალური სასწავლო გეგმის) შედგენაში. ასევე კონსულტაციას ვუწევ მშობლებს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. ვეხმარები სსსმ მოსწავლეს აკადემიური, კოგნიტური და ფუნქციური უნარების განვითარებაში.

ი.ს.გ. ჯგუფის წევრების მიერ ხდება სსსმ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. თითოეული საგნის პედაგოგი წერს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც დაყრდნობილია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე. თუმცა, შეიძლება მოსწავლეს ყველა საგანში არ სჭირდებოდეს ინდივიდუალური გეგმის შედგენა და ზოგ საგანში გადიოდეს სტანდარტული ეროვნული სასწავლო გეგმით. სპეციალური მასწავლებელი წერს ინდივიდუალურ გეგმას, რის მიხედვითაც მოსწავლე იმეცადინებს რესურსოთახში გაკვეთილების შემდეგ. გეგმაში გაწერილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, ასევე მიზნის შესაბამისი აქტივობები. მოსწავლეს ვესწრებით და ვეხმარებით გაკვეთილის პროცესში. ვცდილობთ, მოსწავლის საზოგადოებასთან ინტეგრაციას.

გვყავს სხვადასხვა სტატუსის მქონე მოსწავლეები, მათ შორის ერთი მოსწავლე არის დაუნის სინდრომით. გოგონა ძალიან ხალისიანი და კომუნიკაბელურია, რაც ძალიან გვეხმარება მუშაობაში. მან არ იცის წერა- კითხვა, თუმცა, შევძელით შეესწავლა საკუთარი სახელის და გვარის დაწერა. ასევე საქართველოს რუკაზე შეძლო დასწავლა, სად მდებარეობს საქართველოს დედაქალაქი, სად ცხოვრობს თვითონ და ა.შ.

გვყავს მოსწავლეები, რომელთაც ასევე არ იცოდნენ წერა- კითხვა. დღეს შეუძლიათ წინადადებების კარნახით დაწერა და წაკითხვა. არის შემთხვევები, როდესაც ნასწავლი მასალის მალევე დავიწყება ხდება, მაგრამ, ინტერვენციას არ ვწყვეტთ და ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი.

ასევე მინდა აღვნიშნო ინკლუზიური განათლების წარმატებული მხარე. დღეს ადამიანები ეჩვევიან განსხვავებულის პატივისცემას და მიღებას. მოსწავლეები უფრო ემპათიურები ხდებიან, უჩნდებათ ერთმანეთის დახმარების სურვილი. ვერ ვიტყვი, ამას სიბრალულის გამო აკეთებდნენ, უბრალოდ, მიეჩვივნენ, რომ ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და თითოეული მათგანი საზოგადოების ნაწილია. თუ ადრე განსხვავებულს დაცინვით და თითის მიშვერით ხვდებოდნენ, დღეს ამას იღებენ როგორც ცხოვრების ბუნებრივ მოვლენას და კლასშიც აქვთ მეგობრული დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ- გვესაუბრება ეკა და თვალწინ მიდგება ბავშვობა, როდესაც „განსხვავებულის“ სანახავად უბნის ბავშვები ერთი უბნიდან მეორეში დავდიოდით მის გასაბრაზებლად, ეს ჩვენი კი არა, საზოგადოების დამოკიდებულების წვლილი იყო იმ დროში, მშობელთა იმ ნაწილისა, რომელნიც თავიანთ შვილებს იზოლაციაში ამყოფებდნენ და ქუჩაშიც კი არ გაჰყავდათ. ამ თემამ შეიძლება შორს წაგვიყვანოს, მაგრამ, მთავარია, ანალიზის უნარი გვაქვს და უბრალო შედარებითაც კი წარსულ დროსთან მიხედვით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს საზოგადოების აქტიურმა მონაწილეობამ თავისი შედეგი გამოიღო და დავრწმუნდით, შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, არ არსებობს გარემოში პრობლემა, მითუმეტეს ბავშვებისთვის,რომ ყველამ ერთად მოვინდომოთ და ის დაძლევადი არ იყოს!

ელზა ხარაშვილი

განათლების მინისტრის ინფორმაციით, საქართველოში 7 000-მდე უცხოელი სტუდენტია

საქართველოს განათლების ჰაბად გადაქცევა ჩვენი სტრატეგიის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია, - ამის შესახებ განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ "ინტერპრესნიუსს" განუცხადა. მან კომენტარი გააკეთა PMC კვლევითი ცენტრის მიერ საქართველოში საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის პერსპექტივების შესახებ კვლევის შედეგებთან დაკავშირებით, რომლის პრეზენტაცია ამ წუთებში მიმდინარეობს. განათლების მინისტრმა საუბრისას აღნიშნა, რომ რამდენიმე თვის წინ სამინისტრომ განაცხადა, რომ ქართულ უმაღლეს განათლებას აქვს პოტენციალი, მოიწვიოს სასწავლებლად უცხოელი სტუდენტები.

"ეს ჩანს იქიდანაც, რომ ფაქტიურად არაფერი არ გაუკეთებია სახელმწიფოს, არაფერი არ გაგვიკეთებია ამ მიმართულებით და 7 000-მდე უცხოელი სტუდენტი უკვე გვყავს ძალიან ბევრ ქართულ სასწავლებელში გადანაწილებული. ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს რესურსი გაორმაგდება და გასამმაგდება", - განაცხადა განათლების მინისტრმა.

მისივე თქმით, საქართველოს აქვს ხარისხიანი განათლების რეპუტაცია. სტუდენტური ცხოვრების თვალსაზრისით არის ძალიან კარგი პირობები. ქვეყანას აქვს კარგი უნივერსიტეტები, კამპუსები და ასეთი დაწესებულებების რაოდენობა საქართველოში იზრდება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით მინისტრი დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია, საქართველოში უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდა და მათი დაინტერესება. მინისტრმა საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ PMC კვლევის ცენტრის მიერ საქართველოში საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის პერსპექტივების შესახებ კვლევის ჩატარება მათი ინტერესის საგანიც იყო.

„აგვისტოში ელჩებთან ამ მიმართულებით ვიმუშავეთ. ამბასადორიალის დროს ყველა ქართველი ელჩი ჩამოსული იყო. ასევე, იმ ქვეყნების ელჩებს შევხვდით, სადაც ჩვენ გვყავს ელჩები და სტუდენტების მოზიდვის შესახებ სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებთ. ვმუშაობთ საერთო საცხოვრებლების განვითარების მიმართულებით. ასევე იმისათვის, რომ საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა საერთაშორისო აკრედიტაცია გაიარონ და ვეხმარებით თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს, მათი პროგრამების განვითარება-დახვეწის კუთხით“, - განაცხადა მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ.



„პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია ჩემი ბავშვობის ჩანაფიქრი გახლდათ“

მინი დოსიე: დაიბადა 1970 წელს თბილისში, გაიზარდა დედოფლისწყაროში, დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, 1989 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, 1997 წელს მუშაობა დაიწყო დედოფლისწყაროს ჯანდაცვის რაიონულ ცენტრში ექიმ-პარაზიტოლოგად. სულ მალე გახდა ჯანდაცვის რაიონული ცენტრის დირექტორის მოადგილე, სადაც მუშაობდა 2002 წლამდე, 2002 წელს, პარალელურ რეჟიმში, მუშაობას იწყებს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურში ექიმად. 2006-2012 წლებში ამ ორგანიზაციას უდგას სათავეში. 2010 წლის ნოემბრიდან საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანების მფლობელი კომპანია „ადითი“ გახდა. სწორედ ამ დროს ხათუნა ზურიკაშვილი-აგლაძე ინიშნება დედოფლისწყაროს შპს „ადითის“ დირექტორის მოადგილედ, ხოლო 2012 წელს იგივე სამსახურში დირექტორის თანამდებობას იკავებს. 2013 წელს „ადითმა“ შეწყვიტა ურთიერთობა დედოფლისწყაროს საავადმყოფო- პოლიკლინიკურ გაერთიანებასთან. სანაცვლოდ ჩამოყალიბდა სახელმწიფო შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი. ხათუნა ზურიკაშვილი -აგლაძე რჩება რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს კლინიკის მენეჯერად. სულ ახლახანს გახსნილ კლინიკაში ხათუნა ზურიკაშვილი კვლავ კლინიკის მენეჯერის თანამდებობაზეა. ჰყავს მეუღლე, თამაზ აგლაძე და შვილი გიორგი, რომელიც ასპროცენტიანი დაფინანსებით „ჯიპას“ უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

24 სექტემბერს, დედოფლისწყაროში პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გვსტუმრობდა. ამ დღეს ჩვენს რაიონში ახალი კლინიკა გაიხსნა, რომელიც პასუხობს ნებისმიერი მაღალი სტანდარტების მქონე კლინიკის შესაძლებლობებს. აღნიშნულ შეხვედრაზე სამთავრობო ჯგუფს სიამაყით დაჰყვებოდა მშვენიერი ქალბატონი, რომელიც ღირსეულად იდგა წინა რიგებში. ეს ქალბატონი ექიმი და საავადმყოფო - პოლიკლინიკური გაერთიანების მენეჯერი ხათუნა ზურიკაშვილი-აგლაძე გახლდათ. ქალბატონი ხათუნა, უკვე წლებია, წარმატებით უძღვება თავის საქმეს. საქმიანი, განათლებული, სიკეთით სავსე და თბილი ქალბატონი – ასეთი დახასიათება შეიძლება მიეცეს მას. ჩვენი საზოგადოება ქალბატონი ხათუნას პერსონას იცნობს თეთრ ხალათში და ხელმძღვანელის რანგში, თუმცა, არ იცნობს, თუ როგორია მისი პიროვნების შინაგანი მხარე. ახლადგახსნილ კლინიკის და ხათუნა ზურიკაშვილის, როგორც საუკეთესო მენეჯერი ქალის პორტრეტის უკეთ გასაცნობად ერთი დღით მისი სტუმარი გავხდი.

-ხათუნა, პირველ რიგში გილოცავთ ახალ კლინიკაში გადასვლას. კლინიკის გახსნის დროს თქვენ სამთავრობო დელეგაციას მასპინძლის რანგში დახვდით, მინდა გითრათ, რომ საკმაოდ კარგად გამოიყურებოდით და სახეზე გეწერათ, რომ ბედნიერი იყავით. როგორია მთლიანობაში თქვენი განწყობა ამ დღისადმი და რას ნიშნავს ახალი კლინიკა ჩვენი მოსახლეობისთვის?

-პირველ რიგში მინდა მივულოცო ჩვენს მოსახლეობას ახალი კლინიკის გახსნა. ეს გახლავთ საუკუნის პროექტი, მინდა გითხრათ, რომ 1964 წელს რაიონს გადაეცა საავადმყოფოს შენობა, 1984 წელს პოლიკლინიკის შენობა და ამ ყველაფრის შემდეგ, დედოფლისწყაროს რაიონის მოსახლეობა კვლავ ახალ, ძალიან მაღალსტანდარტულ კლინიკას იღებს საჩუქრად დღვანდელი მთავრობისგან. ეს გახლავთ, დედოფლისწყაროში, დემოკრატიული საქართველოს პირობებში, პირველი ახალი კლინიკა. იმდენად ბედნიერი დღე იყო არამარტო ჩემთვის, არამედ მთლიანად რაიონისთვის, რომ ენით გადმოცემა მიჭირს. რაც შეეხება ჩემს ბედნიერ სახეს, ცხადია, განწყობა საუკეთესო იყო და ეს აისახა ალბათ ჩემს გარეგნობაზეც, მადლობა თქვენ ამ კომპლიმენტისთვის.

-ამბობენ, ბავშვობა ცნობისმოყვარეობის კუნძულია გადაპენტილი კითხვებითო, როგორი იყო თქვენი ბავშვობა და რა კითხვები გქონდათ სრულიად პატარას ცხოვრებისადმი?

-ლაღი, ბედნიერი ბავშვობა მქონდა. დედისერთა ბავშვი ვიყავი, ვერ ვიტყოდი, რომ განებივრებული, მაგრამ საკმაოდ კარგ მოგონებებად დარჩენილი წლებია. ამ წლებიდანვე მქონდა სურვილი ექიმი ვყოფილიყავი და ეს სურვილი შემდეგ რეალობად ვაქციე. პაციენტთან ურთიერთობა და კომუნიკაცია ჩემი ბავშვობის ჩანაფიქრი გახლდათ. ვიყავი კიდეც ძალიან მონდომებული, მაგრამ მერე უკვე მენეჯერულმა საქმიანობამ იმდენი დრო წამართვა, რომ უკვე აღარ თავსდებოდა ერთად ორი საქმე. პაციენტებთან მუშაობის დრო, ფიზიკურად აღარ რჩებოდა.

-გულდაწყვეტის მომენტი თუ გქონიათ, რომ მენეჯერობით გამოემშვიდობეთ პაციენტებთან მუშაობას?

-კი, ნამდვილად მქონია ეს მომენტი. მენეჯერობა, ეს გახლავთ საქმიანობის სფერო, რომელიც კიდევ სულ სხვა რამეს მოიცავს და, აქედან გამომდინარე, უკვე ვეღარ შევძელი ორივე საქმიანობის განხორციელება ერთდროულად. მე კი, მირჩევნია ერთი საქმე ვაკეთო ხარისხიანად, ვიდრე ორი და უხარისხოდ, ამიტომ გადაწყვეტილების მისაღებად ბევრი არც მიფიქრია.

-ხათუნა ექიმს თეთრ ხალათში და ლამაზად გამოწყობილს ყველა იცნობს, თუმცა როგორია ის ოჯახურ გარემოში, ეს ცოტამ თუ იცის, რას აკეთებთ თავისუფალ დროს სახლში?

-ძალიან გადატვირთული რეჟიმი მაქვს და ამდენად ოჯახში მოფუსფუსე ჩემი თავი ძნელად წარმოსადგენი გახდა. ფაქტიურად დედა მეხმარება ოჯახური საქმეების მოგვარებაში. მე საერთოდ ყველა საქმეში მაქსიმალისტი ვარ, თუკი ამის დრო და საშუალება მექნებოდა, რომ დიასახლისის ამპლუა მომერგო,მჯერა, არც ის არ გამომივიდოდა ცუდად, მაგრამ რომ გითხრა, დიდი დრო მაქვს და ოჯახის საქმეებით ვარ დაკავებული, ნამდვილად არ ვარ. თავისუფალ დროს ვკითხულობ, იმიტომ რომ რეალურად ბევრი სიახლეა და მაინტერესებს სიახლეებს გავეცნო სამედიცინო სფეროში.

-არსებობობს თუ არა, ნაწარმოებების რომელიმე პერსონაჟი, რომელიმე კინოფილმის გმირი, რომელიც თქვენს გონებაში მუდმივად არსებობს?

-ბევრი პერსონაჟია ასეთი, მაგრამ იცით რა არის? ამ ბოლო დროს ფიქრისთვისაც მართლა ძალიან ცოტა დრო მრჩება. ბევრს უკითხავს, რამე პრობლემა ხომ არ გაქვსო, მაგრამ, წარმოიდგინეთ, საკუთარ პრობლემებზე ფიქრისთვისაც არ მრჩება დრო. ხშრად მიფიქრია, ხომ შეიძლებოდა, დავუშვათ, სხვანაირად წარმემართა ჩემი ცხოვრება, რა შეიძლებოდა მეკეთებინა აქ რომ არა ვყოფილიყავი. თუმცა, ვიცი, ვერაფერს შევცვლიდი, ერთადერთი რასაც ვნაკლისობ, მინდოდა მეორე ან მესამე შვილი მყოლოდა. ეს კი, რეალურად, ჩემზე არ იყო დამოკიდებული.

-გადაწყვეტილებების მიღებაში როგორი ხართ?

-ბევრს ვფიქრობ და ისე ვიღებ ზოგადად გადაწყვეტილებებს, თუმცა, მიმაჩნია, რომ ბოლოს მაინც სწორ გზას ვირჩვ და სწორად მივდივარ.

-პესიმიზმი რა დიზითაა შემოჭრილი თქვენს ცხოვრებაში?

-ერთადერთი შვილი მენატრება ხოლმე ძალიან და ამას განვიცდი ყოველწუთიერად, მართალია თბილისშია და ხშირად ვნახულობ, მაგრამ მაინც, უზომოდ მენატრება და მაკლია.

-როგორია ხათუნა ზურიკაშვილი - აგლაძე, როგორც დედა, არის თუ არა მეგობრობა თქვენსა და თქვენს შვილს შორის?

-ყველა ამბობს, რომ კარგი დედა ვარ, შეიძლება ითქვას, არანორმალური დედა შვილისთვის! მეგობრული ვარ, თავად გიორგის ბევრი საუბარი არ უყვარს თავის საკითხებზე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მე, როგორც დედას, შემიძლია ნებისმიერი სიტუაცია დავუხატო და გამოსავალიც ვიპოვოთ ერთად. ზოგადად დადებით ბავშვად ახასიათებენ, მაგრამ მე, მაინც მეტი მინდა მისგან, რადგან მოგახსენეთ, რომ მაქსიმალისტი ვარ და შვილის შესაძლებლობისგანაც მაქსიმალურს ვითხოვ.

-ხათუნა ზურიკაშვილი ამსხვრევს როდისმე სტერეოტიპებს?

-ხანდახან. იცით, ხანდახან განტვირთვა მეც მინდა, მეც მინდა, რომ საქმე დავტოვო, გავიდე და ვიყო ჩვეულებრივი ადამიანი, თუმცა, რეალობა ერთია, როცა უკვე თანამდებობის პირი ხარ, ბევრი რამის უფლება არ გაქვს.

-რამდენად თავისუფალია ხათუნა ზურიკაშვილი, ვგულისმობ თავისუფალი სიტყვას, საქმეში თავისუფლებას, შინაგანი მეს თავისუფლებას.

-მე ვარ ამ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ვარ თავისუფალი. ერთი რამ მინდა ვთქვა, მე ყოველთვის, ყველა დროში ჩემს საქმეს ვაკეთებდი თავდახრილი და თავისთავად ცხადია, ესაა თავისუფლება, რომ შენი საყვარელი საქმე ყოველგვარი ზედმეტი ჩარევების გარეშე აკეთო და არავინ გითხრას და დაგაჯეროს, რომ თეთრი შავია და შავი თეთრია. მე ყოველთვის ჩემი სიმართლე მაქვს და ამ სიმართლით მივდივარ ჩემს გზაზე. ზოგადად მირჩევნია ისევ ჩრდილში ვიდგე, ჩემი საქმე გავაკეთო და შედეგით ვიყო კმაყოფილი, ვიდრე ის ვამტკიცო, რომელი საქმეც ჩემი სფერო არაა.

- ქალებს გვიყვარს ბედისწერაზე საუბარი, თქვენ, თქვენი ბედით თუ ხართ კმაყოფილი?

-აღვნიშნე, რომ ერთზე მეტი შვილის ყოლა იყო ჩემი ოცნება, ამ საკითხის გარდა, თითქმის არაფერს არ შეცვლიდი ჩემს ცხოვრებაში. როცა ხარ ძალიან დაკავებული და გაკისრია მნიშვნელოვანი მისია, არ გრჩება დრო იმისთვის, რომ იფიქრო, ხარ თუ არა ბედნიერი. მნიშვნელოვანია შვილი, შვილთან ურთიერთობაზე დიდი დედისთვის არაფერი არ არსებობს. მხოლოდ შვილის გამო შეიძლება დათმო ყველაფერი, დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

- მედიცინა არის... დაასრულეთ ფრაზა.

- მედიცინა არის მკურნალობა, მაგრამ მე ვიტყვი, რომ მედიცინა და მედიცინის მუშაკები არამარტო ადამიანის ჯანმრთელობას, არამედ მის სულსაც უნდა კურნავდნენ . სხვათაშორის, მე ყველა ჩემს თანამშრომელს ვეუბნები, ადამიანი რომ მოდის, ის ადამიანი თქვენ გენდობათ, და ის ნდობა არასოდეს არ უნდა გაუცრუოთ-მეთქი.

-რას ფიქრობთ ცხოვრების მარადიულობაზე?

- ღმერთი ნამდვილად არსებობს და მჯერა, რომ იმქვეყნიური ცხოვრებაც არსებობს. ისიც მჯერა, რომ კეთილი და ბოროტი ანგელოზების ბრძოლა აუცილებლად კეთილის გამარჯვებით დამთავრდება. ჩემი ცხოვრების კრედოც ესაა, სიკეთე უნდა აკეთო, რაც შეგიძლია. და ყველაზე მთავარი სიკეთე იმიტომ კი არ უნდა აკეთო, რომ მერე ვიღაცამ რაიმე სახით უკან დაგიბრუნოს, არა, უანგაროდ გაღებული სიკეთეა მხოლოდ გამართლებული.

-რა დოზითაა თქვენში მიმტევებლობა?

-მიმტევებელი ვარ, თანაც დიდი დოზით, ერთადერთი, რასაც მდგომარეობიდან გამოვყავარ, ჩემი შვილისადმი უსამართლო დამოკიდებულება, ისიც იშვიათად, რადგან ბავშვი უკონფლიქტო ახალგაზრდაა, ძალიან კარგი ადამიანია და რაიონს ძალიან უყვარს, თბილისშიც ანალოგიურად ასეა. მის მიმართ მიყენებულ ტკივილს ვერ ვაპატიებ ვერავის, დანარჩენი, ძალიან პოზიტიური ადამიანი ვარ და მინდა გითხრათ, რომ ნეგატიური მოგონებები არც რჩება ჩემს მეხსიერებაში, იმდენად მიმტევებელი ვარ, რომ მხოლოდ პოზიტიური რჩება ჩემს ხსოვნაში.

-რა სიახლეები ელის მოსახლეობას ახალ კლინიკაში, რამდენად გათვლილია იგი სადაზღვევო პოლისის მქონე ადამიანებისთვის?

-კლინიკა რომ მაღალი დონისაა, ამაზე აღარავინ კამათობს, თვით სამთავრობო დონის საზოგადოებაც აღფრთოვანებული დარჩა. მე ასეთი პიროვნება ვარ, საკუთარსაც და სამსახურებრივსაც ძალიან ვუფრთხილდები. როდესაც მინისტრი მიდიოდა, ასეთი სიტყვა დატოვა,- მოუფრთხილდით ამ საჩუქარსო და ამაზე ალბათ თქმაც არ გვჭირდება არც მე და არც ერთ ჩემს კოლეგას. აპარატურაც უახლესია, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სამმილიონნახევარი ღირებულების აპარატურა დგას ახალ კლინიკაში. ამბულატორია და სტაციონარი ერთად იქნება გაერთიანებული, არის საუკეთესო ლაბორატორიის აპარატურა, თითქმის ყველანაირი ლაბორატორიული კვლევა ჩატარდება ადგილზე, თბილისის წამყვან კლინიკებში რომ არის, ისეთი გამოკვლევები ჩატარდება. რაიონის მოსახლეობას არ ექნება იმის საჭიროება, რომ სადმე რაიონის გარეთ გავიდეს სამკურნალოდ. რაც შეეხება სადაზღვეო პოლისიან მოსახლეობას, რა თქმა უნდა, ყველა სადაზღვეო პოლისის მქონე მოქალაქე ისარგებლებს თავისი უფლებებით. მინდა გითხრათ, რომ სწორედ დღეს, მოდიან ლიცენზიის გადამოწმების თაობაზე და ალბათ, 3 ოქტომბრიდან ჩვეული რიტმით დავიწყებთ ახალ კლინიკაში პაციენტების მიღებას.

-რაც შეეხება კადრებს, დაკმაყოფილდებიან თუ არა ადგილობრივი მედიცინის მუშაკები და იქნებიან თუ არა მოწვეული ექიმები?

-იქნება ადგილობრივი კადრის გადამზადებაც, არის გეგმაში და უკვე ტრენინგებსაც ჩაუტარებენ, მოწვეული იქნებიან სპეციალისტები, ქირურგია ჩამოსული, გინეკოლოგი გვყვავს მოწვეული, ასევე რეანიმატოლოგი, ტრავმატოლოგსაც ფიქრობენ. მოკლედ, თუკი რაიმე საჭიროება ექნება რაიონს კადრების თვალსაზრისით, მოვიწვევთ. ჩვენი ყველა თანამშრომელი დასაქმებულია და ახალ კლინიკაში ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას, ამ დროისთვის 88 უკვე თანამშრომელია ახალ კლინიკაში.

-სულ მალე საპარლამენტო არჩევნები გველოდება და თქვენი აზრით, საით გადაიხრება ხალხის არჩევანი?

-ხალხი ყველაზე ჭკვიანი და ბრძენია, ისინი სწორ არჩევანს გააკეთებენ, ამაში ეჭვი არ მეპარება. ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად მოიგებს სახელისუფლებო პარტია.

-თქვენი სამომავლო გეგმები.

-ეხლა ძალიან დატვირთულ რეჟიმში გადავდივართ, გვემატება ახალი სერვისები, რეანიმატოლოგის განყოფილება გვექნება,მიმღებ- სამშობიარო განყოფილება ამუშავდება, გვეყოლება მშობიარეები, მეოლოგინეები და ასე შემდეგ.

-რა ბედი ელოდება ძველ საავადმყოფოს და პოლიკლინიკურ შენობებს?

-შენობებს ჩაიბარებს ეკონომიკის სამინისტრო. მათ ბალანსზე არის ეს შენობები და თავადვე ჩაიბარებს.

ლალი მეხრიშვილი

პოეზიის საღამო ელიის ტყეში

გასულ კვირას პარტია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ დედოფლისწყაროს ახალგაზრდული ფრთის ორგანიზებით ელიის ბუნებაში ჩატარდა პოეზიის საღამო. ჯვართამაღლების და სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებულ საღამოს თითქოს ბუნებამაც შეუწყო ხელი. შემოდგომის ნისლი და ბუნების გაცრეცილი ფერები თემატურად შესაბამებოდა იმ დღის განწყობას. შესანიშნავად კითხულობდნენ ლექსებს პოეტები თამაზ წიკლაური და ლევან ალავერდაშვილი. აქვე სტუმრის სტატუსით მოწვეული იყო პოეზიის ტრფიალი, „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ახალგაზრდობის საქმეთა მთავარი სპეციალისტი“ ლელა ბიღიაშვილი, რომელიც ტოლს არ უდებდა ცნობილი პოეტების ლექსების წარმოთქმაში ჩვენი რაიონის პოეტებს. ამ დღეს მე ასე დავარქვი,- შემოდგომის ძალადაკარგული მზით, ღვინისფერი ჰაერით და ლექსით გაჟღენთილი საღამო. ტყეში იფრქვეოდა პოეზიის დიდებული სტრიქონები, ჭექდა და ქუხდა თამაზ წიკლაურის მიერ წარმოთქმული ლექსები სამშობლოსა, თუ ჩვენს მრავალჭირნახულ ხორნაბუჯზე. ამ ყველაფერს კი ძალიან უხდებოდა კოცონი, თივის პატარა ზვინები და მასზე გადაფარებული ძველებური ხალიჩები, რომლებიც ამ შმთხვევაში სკამების როლს ასრულებდა. მაგიდად სუფრად ხის დაწნული წნელები იდგა, რომელსაც ამშვენებდა ღვინით სავსე დოქები, შოთი პურები, მწვადები, ყურძნის ჩხები და ფიალები. საღამოს სტუმრობდა ძალიან ბევრი ახალგაზრდა, საპატიო სტუმრებად კი, მცირე ხნით ახალგაზრდებს შემოუერთნენ დეპუტატობის კანდიდატი ქართული ოცნებიდან ირაკლი შიოლაშვილი, თელავის მერი პლატონ კალმახელიძე, ვიცემერი თენგო მთვარელიშვილი და მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. ლამაზი საღამო გახლდათ, ახალგაზრდული და სალონური.

სოხუმის დაცემიდან 23 წელი გავიდა...

სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. კონფლიქტი ქართულ სამთავრობო ჯარებსა და აფხაზ სეპარატისტთა ძალებს შორის 13 თვესა და 13 დღეს გრძელდებოდა.

ქართულ შენაერთებს აფხაზებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიიდან დაქირავებული მებრძოლები, კაზაკთა მილიციისა და არაოფიციალურად გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის შენაერთები ებრძოდნენ.

სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას 27 ივლისს სოჭში ცეცხლის შეწყვეტისა და და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ დადებული შეთანხმება უძღოდა, თუმცა აფხაზური მხრიდან ის 16 სექტემბერს დაირღვა.

ამ დღეს სეპარატისტებმა შეთანხმება დაარღვიეს და ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთის მისადგომებიდან. საქართველოს კი, შეთანხმების თანახმად, ამ დროისთვის მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი უკვე კონფლიქტის ზონიდან გაყვანილი ჰყავდა. მასობრივ შემოტევას სუსტი შეიარაღებით ქართულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს. ქალაქი საბოლოოდ დაეცა...

ქართული მხარის ამ დრომდე დაუზუსტებელი მონაცემებით, 10 ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. 300 ათასი აფხაზეთიდან დევნილი კი უსახლკაროდ დარჩა.

სოხუმის დაცემის დღეს რუსმა ოკუპანტებმა და აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა 30-მდე ქართველთან ერთად დახვრიტეს.

27 სექტემბერს დაეცა სოხუმი, 29 სექტემბერს — ოჩამჩირე, ხოლო 30 სექტემბერს — გალი, რითაც აფხაზეთი სეპარატისტების ხელში გადავიდა.

სოხუმის დაცემის მტკივნეულ საკითხს თავის ქადაგებებში არაერთხელ გამოხმაურებია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს:

“აფხაზეთის დაცემაც, — ეს არის ამ კუთხის დროებითი მოწყვეტა საქართველოდან, და არა სასჯელი ღვთისა! ეს არის გამოცდა ჩვენი ერისა და ჩვენი ქვეყნისა. ჩვენ კეთილი და მშვიდობიანი მომავლის იმედი გვაქვს. და შევთხოვთ უფალს, რომ მალე დადგეს ის ბედნიერი დღე, როცა საქართველოს გამთლიანებას ერთად იზეიმებს ქართველიც, აფხაზიც, ოსიც და სხვა ერის შვილებიც. თქვენ იცით, ეშმაკი ანაწევრებს, განჰყოფს, ღმერთი კი აერთიანებს და ამთლიანებს. ჩვენ ვართ ღვთის ერი და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. დედა ღვთისმშობელმა ჩვენს ქვეყანას გადააფარა თავისი მოწყალე კალთა და ვერავინ შეძლებს საქართველოს დანაწევრებას. ვინც ამას ეცდება, პასუხს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გასცემს! საქართველო და ქართველი ერი იმედით უყურებს თავის მომავალს, რადგან ვიცით, რომ ჯვარცმას, მოსდევს აღდგომა და ამაღლება! ეს ელოდება ქართველ ერს, თუ ჩვენ კვლავ გავხდებით ღვთის ერი, თუ ჩვენ შევიგნებთ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის “გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე”....

მე კარგად ვიცნობ აფხაზებს იმიტომ, რომ 11 წლის მანძილზე აფხაზეთის ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ვიყავი და მათ გვერდით ვცხოვრობდი. ქართველებსა და აფხაზებს საუკეთესო ურთიერთობა გვქონდა. ერთად ვხარობდით და ერთად განვიცდიდით, თუ მწუხარება დაგვატყდებოდა ხოლმე თავს. მე არაერთი ნათლული მყავს აფხაზი.

ყველას კარგად გვესმის, რომ ტრაგედია, რომელიც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დატრიალდა, არ არის არც ქართველებისა და არც აფხაზებისა და ოსების ბრალი — ეს არის გარეშე ძალების მიერ ინსპირირებული და ყველამ ვიცით, თუ ვინ არის მთავარი მოქმედი პირი.

მაგრამ იმედი მაქვს იმისაც, რომ ყველა გაიგებს, რომ არსებობს ერთადერთი გამოსავალი — ესაა გზა მშვიდობისა, გზა შერიგებისა. ჩვენის მხრივ, ეკლესია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს შერიგება, რაც შეიძლება მალე მოხდეს. ვიმედოვნებთ, რომ მალე საქართველო გამთლიანდება და ქართველები აფხაზებთან ერთად ერთ ძეგლს ააგებენ, ძმათამკვლელ ომში დაცემულთათვის.

ღმერთმა დალოცოს, ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს სულნი აფხაზეთში დაცემულთა მონათა და მხევალთა მართლმადიდებლობით აღსრულებულთა და მათი ლოცვით ღმერთმა ინებოს, რომ მალე დადგეს ის ბედნიერი დრო, როცა გამთლიანებულ საქართველოში ერთად გაიხარებენ ქართველნი, აფხაზნი და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ერის შვილები!“ (ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 27 სექტემბერი 2005 წ.).

“დღეს ჩვენ დროებით ვერ ვაკონტროლებთ აფხაზეთს. ხშირად ბევრი შეცდომით ამბობს: “ჩვენ დავკარგეთ სამაჩაბლო, დავკარგეთ აფხაზეთი”. ჩვენ არაფერი დაგვიკარგავს! ეს არც გონებაში და არც გულში არ უნდა გავივლოთ! ჩვენ დროებით ვერ ვაკონტროლებთ ამ ტერიტორიებს და ღვთის მადლით, ღვთის ძალით, მალე დადგება ის ბედნიერი დღე, როდესაც აფხაზეთი და სამაჩაბლო კვლავ საქართველოს შემადგენლობაში იქნება და ჩვენ აღვნიშნავთ არა სოხუმის დაცემის დღეს, არამედ ერთად ვიზეიმებთ ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და გამთლიანების დღეს! ძალიან კარგად მესმის იმ ადამიანების მწუხარება, რომელნიც აღიზარდნენ სოხუმში, აფხაზეთში. ეს მწუხარება ჩემიცაა, მე ხომ 11 წელი ვიყავი აფხაზეთისა და სოხუმის მიტროპოლიტი და როგორი სითბო, როგორი სიყვარული სუფევდა ჩვენ შორის მახსენდება, მიწვევდნენ აფხაზები თავის ოჯახებში, ვლოცავდი მათ შვილებს. მე დღესაც ვლოცავ აფხაზებს, ოსებს, მაშვილებსა და სხვათაც. ისინი ხომ ჩვენი სულიერი შვილებია?! ბედნიერი ერი ვართ ჩვენ, ქართველები, რომ არავის სიძულვილი არ გვახასიათებს. არც დღეს, ამ ომის შემდეგ არ გვაქვს არც აფხაზების, არც რუსების, არც ოსების, არც სხვების სიძულვილი. ჩვენი ახალგაზრდები ასრულებენ აფხაზურსა და ოსურ სიმღერებს იმ დროს, როცა იქ, აფხაზებსა და ოსებს შორის, ინერგება ქართველებისადმი სიძულვილი. მე მინდა ვთქვა, რომ სიმართლე ჩვენთანაა, ე.ი. ღვთის მადლიც ჩვენთანაა და მჯერა, აფხაზები, ოსები და სხვებიც იგრძნობენ ამას. მე მინდა ვუთხრა მათ, რომ აფხაზების გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს წიაღში ყოფნით. ეს უნდა ახსოვდეთ მათ, უნდა გააცნობიერონ კარგად, რომ ისინი მხოლოდ საქართველოში გადარჩებიან. თუ ეს არ მოხდა, აფხაზეთი იქნება და აფხაზები აღარ იქნებიან, სამწუხაროდ.

ღმერთმა ძალა მოგვცეს! ღმერთმა გახსნას ჩვენი გონება! ღმერთმა გახსნას გონება რუსთა და ქართველთა. დარწმუნებული ვარ, მტრობას, რომელიც აქტიურად ინერგება საქართველოსა და რუსეთს შორის, არ აქვს მომავალი; შეუძლებელია, რომ ორ მართლმადიდებელ ერს შორის იყოს მტრობა.

“უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით!” შევთხოვ უფალს, რომ ჩვენი ერი და ასევე, აფხაზები, რუსები, ოსები — ყველანი ვიყოთ ერი ღვთისა! და ვინც იქნება ღმერთთან, სიძულვილი არ იქნება მათში, არამედ იქნება სიყვარული, რაც გადაგვარჩენს ჩვენ ყველას ერთად!” (ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 27 სექტემბერი, 2008 წ.).

“თქვენ იცით, ქართველმა ხალხმა მძიმედ განიცადა აფხაზეთის ტრაგედია, როცა ექსტრემისტები გარეშე ძალების დახმარებით უძველესი ქართული მიწა-წყლის, აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას შეეცადნენ.

ეპისკოპოსი და ჩვენი სამღვდელოება ბოლომდე ხალხის გვერდით იდგა და ცდილობდნენ, მისთვის ომის სიმძიმე შეემსუბუქებინათ. მე მინდა მოგითხროთ მღვდელმონოზონ ანდრია ყურაშვილის შესახებ. იგი სოხუმის ახლო სოფელ კომანში მოღვაწეობდა, იმ ადგილზე, სადაც წმიდა იოანე ოქროპირი გარდაიცვალა.

როდესაც სეპარატისტებმა ეს ტერიტორია დაიკავეს, მამა ანდრია იქ მცხოვრებ მოსახლეობასთან ერთად ტაძარში ლოცულობდა და შეშინებულ ხალხს სარწმუნოებით განამტკიცებდა. მათთვის ერთადერთი ნუგეში ეს ღვთისსათნო ბერი იყო.

როცა მოძალადეებმა ყველანი ტყვედ აიყვანეს, ხალხში მეტი შიშისა და მორჩილების დანერგვის მიზნით ვანდალური აქტის ჩადენა გადაწყვიტეს, გაიყვანეს მამა ანდრია და ეზოში ვერაგულად მოკლეს. მამა ანდრიამ სიკვდილის წინ ყველა აზიარა, ყველას ცოდვები იტვირთა და იქ მყოფთა შორისაც სიცოცხლე პირველმა გაიღო მსხვერპლად, ვითარცა ზვარაკმა.

მომხდარმა ყველა შეაძრწუნა, მოძალადეებიც კი. მშვიდი და სააოცრად ნათელი სახით ესვენა მამა ანდრიას სხეული, როგორც მაგალითი ქრისტიანული სიყვარულისა, თავდადებისა და სიწმინდისა. იმდენად ძლიერი იყო ეს გრძნობა, რომ მტრებმაც კი მოიყარეს მუხლი მის წინაშე.

კიდევ ერთ მაგალითს გაგაცნობთ აფხაზეთში მომხდარი მოვლენებიდან. იმ პერიოდში ამ რეგიონის ხელმძღვანელად დაინიშნა ბატონი ჟიული შარტავა. ადრე იგი ცეკას მდივანი, ქ. რუსთავის მერი იყო, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. მას ყველგან იცნობდნენ, როგორც გამორჩეულად პატიოსან, მომთხოვნ, გონიერ, ერთგულ ადამიანს. კომუნისტური რეჟიმის დროს იგი ეკლესიური არ ყოფილა, მაგრამ შემდეგ თანდათან დაუახლოვდა ტაძარს და ღრმადმორწმუნე გახდა. აფხაზეთში ყოფნისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იქ მყოფ სამღვდელოებას, ბერებსა და მონოზვნებს, ისინიც ხშირად ესტუმრებოდნეხ ხოლმე მას.

სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე ერთ-ერთი მიტროპოლიტი ჩავიდა ამ ქალაქში და ბატონი ჟიული-დავითიც (ასე ეწოდებოდა მას ეკლესიურად) მოინახულა. ეს მეუფე შემდეგ იხსენებდა: მარტო რომ დავრჩით ოთახში, ჟიული ხატებთან მივიდა და უფალს გულმხურვალედ შესთხოვა, ღმერთო, ყველას ნაცვლად მე დამსაჯე, ოღონდ სამშობლო გადამირჩინეო, სამი დღის შემდეგ სოხუმი ექსტრემისტებმა დაიკავეს. ბატონი ჟიული-დავითი ტყვედ აიყვანეს (მას გაქცევა შეეძლო, მაგრამ ხალხი არ დატოვა) და იმავე დღეს წამებით მოკლეს. მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჩემს სახელზე საპატრიარქოში უცნობი ავტორის წერილი მოვიდა. იგი თვითმხილველი იყო ჟიულისა და კიდევ ერთი მისი თანამშრომლის მკვლელობისა. მასთან ავტორმა არ იცოდა, რომ ის პიროვნება, ვის შესახებაც მწერდა, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, წერილში, რომელიც რუსულად იყო შედგენილი, ეწერა: გამაოცა ამ კაცის შეუდრეკელობამ, უშიშრობამ, ამტანობამ, სიმამაცემ, სამშობლოსა და თავისი ხალხის სიყვარულმა. მისი სახელი ასანთის კოლოფზე დავიწერე, რომ არ დამვიწყნოდა და გწერთ თქვენ, რომ იცოდეთ, როგორი გმირები ჰყავს საქართველოს. მჯერა, ასეთი შვილების გამზრდელი ერი არ გადაშენდებაო.

ეს ბარათი მომწერა კაცმა, რომელიც მტრის ბანაკში იბრძოდა და ალბათ, თვითონაც იღებდა მონაწილეობას (შეიძლება პასიურს) შარტავასა და მისი მეგობრის წამებაში” (ილია მეორე, დიდი ბრიტანეთი, კენტერბერიის ტაძარი, ივნისი, 1995 წ.).

დამარხული იარაღი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და მთავარ პროკურატურასთან ერთად, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო მასალისა და ცეცხლსასროლი იარაღის მარაგს მიაკვლია, განაცხადა შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის უფროსმა მიხეილ ძაგნიძემ 29 სექტემბერს გამართულ ბრიფინგზე. მისივე ცნობით, საბრძოლო მასალა შენიღბულად 2009-2011 წლებში უნდა დაემარხათ.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის უფროსის, მიხეილ ძაგნიძის, განცხადებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ საქართველოში რამდენიმე ადგილიდან ამოღებული დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერებები და ასაფეთქებელი მოწყობილობები 2009-2011 წლებშია დამარხული:

„კერძოდ, სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან ამოღებული იქნა დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერებები და ასაფეთქებელი მოწყობილობები. გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული საბრძოლო მასალის შენიღბულად დამარხვა 2009-2011 წლების განმავლობაში განხორციელდა. სამართალდამცველებმა სოფელ ნორიოს მიმდებარე ტერიტორიაზე და გორის რაიონში, ქვის სამტვრევი ქარხნის მიმდებარედ, ტყის მასივში, მიწის ქვეშ იპოვეს და ამოიღეს სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა“.

შინაგან საქმეთა სამინისტროში არ დაუზუსტებიათ არსებობს თუ არა სავარაუდო ეჭვმიტანილი, თუმცა რადიო თავისუფლებასთან საუბარში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი დავით დარჩიაშვილი ამბობს, რომ ეს არის წინა ხელისუფლების მიერ გაკეთებული სამალავები, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მხრიდან შესაძლო აგრესიის მოგერიებისთვის გაკეთდა და, სავარაუდოდ, ამის თაობაზე მოქმედი ხელისუფლებაც ინფორმირებული უნდა ყოფილიყო ხელისუფლების გადაბარების პროცესში:

„საქმე ეხებოდა საქართველოში რუსეთის არმიის ხელახლა შეჭრის შემთხვევაში წინააღმდეგობის უჯრედების მომზადებას, რაც სავსებით ლეგიტიმური ნაბიჯია და თუ რამე არსებობს ამასთან დაკავშირებით დღეს ანტისახელმწიფოებრივი კანონდარღვევითი მოქმედება, ეს არის ამ ყველაფრის გამჟღავნება, მაგრამ იმდენი სახელმწიფოებრივი საიდუმლოებებია გაცემული რუსული აგენტურისათვის ამ ხელისუფლების მხრიდან, რომ ერთით მეტი თუ ერთით ნაკლები ვითარებას არ ცვლის. უბრალოდ, ამ ყველაფერს აბამენ თავისივე შექმნილ მითებს იმის შესახებ, რომ თითქოს ოპოზიცია აპირებს დესტაბილიზაციას“.

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ შეიარაღების სიას თუ გავაანალიზებთ, რომელიც სამ სხვადასხვა ადგილას ამოიღეს, შეიძლება ჩამოყალიბდეს აზრი, რომ ამ შეიარაღებით მოწინააღმდეგის რეგულარული დანაყოფის მოგერიება შეუძლებელია, ეს აღჭურვილობა პატარა შეიარაღებული დივერსიისთვის თუ გამოდგება. ირაკლი ალადაშვილის თქმით, ადრეც ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ წინა ხელისუფლებამ აგვისტოს ომის შემდეგ მოაწყო იარაღის სამალავები პარტიზანული მოქმედებებისთვის.

„გამიჭირდება თქმა, ეს კონკრეტულად ასეთ სამარხს განეკუთვნება თუ არა, მაგრამ რაც ჩანს ამოღებულიდან, ზოგი კი იყო ცელოფანის პარკში შეხვეული, მაგრამ არ არის დაზიანებული არც ვაზნები, არც თვითონ სათავსო ყუთების დაჟანგვის ხარისხია მაღალი, რაც ცოტა ეჭვს აღძრავს, ეს 7-8 წელი იდო მიწაში. შეიძლება ვცდები, მაგრამ დაჟანგვის ან დანესტიანების ხარისხი ცოტა მეტი იქნებოდა, ვიდრე რაც ვიდეოზე ჩანდა“.

ირაკლი ალადაშვილის თქმით, ერთი ნახვით მაინც ძნელია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ვიდეოდან დასკვნის გამოტანა. გასაანალიზებელია, როგორ იყო ჩამარხული, როგორ შეიძლებოდა იმ ადგილებში მისვლა,

ირაკლი ალადაშვილის თქმით, ასეთი მარაგი უბრალო დამნაშავეებს, სავარაუდოდ, ვერ ექნებოდათ და უფრო სამხედრო მიმართულებაზე მიუთითებს. თუმცა, მისივე თქმით, საქართველოს ტერიტორიაზე იარაღის აღმოჩენის ეს არც პირველი შემთხვევაა და, ალბათ, არც უკანასკნელი. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ასეთი ათობით სამალავია აღმოჩენილი.

სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტ ირაკლის ფორჩხიძის თქმით კი, ამგვარი აღმოჩენები ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ხოლმე წინასაარჩევნო პერიოდს. ეს შეეხება გარკვეულ ჩანაწერებს თუ პოლიტიკური სარჩულის მქონე სხვა აღმოჩენებს. საეჭვოა ეს ყველაფერი მაშინ, როცა რჩება უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა და, შესაბამისად, არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს არა მხოლოდ შიგნით, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალშიც.

„ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებებს. ასე შეიძლება ბევრი რამ აღმოვაჩინოთ მაშინ, როცა ჩვენ გვინდა, გავაკეთოთ ამის შესახებ გარკვეული განცხადებები, შევქმნათ გარკვეული ფონი, მაგრამ საგამოძიებო და სამართლებრივი მტკიცებულებებით გამაგრება სახეზე არ იყოს. ძალიან საწყენია, რომ ხშირად არც გამოძიება იძლევა იმ შედეგებს, რომ საბოლოოდ დავადგინოთ, თუ რა იყო ამ ყველაფრის მოტივი, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან და რა მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ ხშირად დროის გარკვეულ მონაკვეთში ამ ტიპის აღმოჩენები, ამ ტიპის განცხადებები თავის საქმეს აკეთებს, მაგალითად, იქმნება ის პოლიტიკური ფონი, რომელიც რომელიმე დაინტერესებულ მხარეს შეუქმნის უპირატეს მდგომარეობას წინასაარჩევნოდ“, - ამბობს ირაკლი ფორჩხიძე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კი შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა უწყებებს მადლობა გადაუხადა გაწეული მუშაობისთვის.

ნიკო ლორთქიფანიძე

ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წლის 29 სექტემბერს, წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნეშში. მწერალი იმერელ თავადთა შთამომავალი გახლდათ. მისი წინაპრები იმერეთის მეფის კარზე მიღებული პირები ყოფილან. მათ „ფიცის კაცებს“ უწოდებდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნისათვის ყველაზე რთულ პერიოდში მათ ანდობდნენ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტას. „ფიცის კაცები“ სასახლის გვარდიის როლს ასრულებდნენ. ამ „ფიცის კაცთა“ წინამძღოლი ყოფილა მწერლის პაპა — გიორგი ლორთქიფანიძე — ბავშვობიდანვე დაახლოებული იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან.

თავის დროზე ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო მწერლის მამა — მერაბ ლორთქიფანიძეც. მას ერთ-ერთ პირველს, ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმის გატარებამდე გაუთავისუფლებია თავისი ყმები. მწერლის დედა წულუკიძეთა ოჯახის ასული იყო.

ნიკო ლორთქიფანიძეს ხუთი და და ორი ძმა ჰყავდა. მწერლის ძმები — იასონი და ალექსანდრე ასევე ცნობილი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ.

წერა-კითხვა ნიკომ შინ შეისწავლა. მწერლობაც ადრეული ასაკიდანვე დაიწყო, თუმცა ბავშვობის ხანის ნანერები მოგვიანებით თავადვე გაუნადგურებია. მწერლის ბავშვობაში ჩვენი საზოგადოება ქართული წიგნების ნაკლებობას განიცდიდა და პატარა ნიკოც თურმე უფრო ხშირად რუსული წიგნებით სარგებლობდა. შესაბამისად, წერაც რუსულად დაუწყია.

თავდაპირველად ნიკო ლორთქიფანიძე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანეს. იგი ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1901 წელს ქუთაისს ესტუმრა რუსეთის მოხეტიალე დასი, რომელთაც წარმოადგინეს პიესა „შვილი ისრაელისა“. რუსმა შოვინისტებმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და სცადეს, წარმოედგენა ქართველთა და ებრაელთა შორის შუღლის გასაღვივებლად გამოეყენებინათ. ამ მცდელობას წინ აღუდგნენ ნიკო ლორთქიფანიძე და მისი მეგობრები. საქმეში პოლიცია ჩაერია. აღელვებული ხალხის დასაწყნარებლად ჯარისკაცთა 150 კაციანი რაზმის გამოყენება გახდა საჭირო.

ნიკო ლორთქიფანიძე და მისი მეგობრები პასუხისგებაში მისცეს. ბრალი ედებოდათ პოლიციის მოხელეთა შეურაცხყოფაში, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში. ბრალდებულებს ფულადი ჯარიმა დააკისრეს. მაგრამ ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მოთხოვნით განაჩენი გადაისინჯა და ნიკო ლორთქიფანიძეს ორი თვით პატიმრობა მიუსაჯეს.

სასჯელის მოხდის შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძე ვლადიკავკაზში გაემგზავრა. აქვე სწავლობდა მისი ძმა იასონი. ნიკომ გიმნაზიის სრული კურსი დაამთავრა და ხარკოვის უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტზე შევიდა. მოკლე ხანში კი იურიდიულზე გადავიდა. თუმცა უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია — სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილების გამო იგი სასწავლებლიდან გარიცხეს.

1902 წელს ნიკო ლორთქიფანიძე ავსტრიაში გაემგზავრა და სამთო აკადემიაში შევიდა. ავსტრიაში ყოფნისას იგი საფუძვლიანად გაეცნო გერმანულენოვან მწერლობას.

ბინას, რომელშიც მწერალი ავსტრიაში ცხოვრობდა, ამშვენებდა წარწერა: „პრინცი ლორთქიფანიძე“. აღნიშნული პერიოდიც ფათერაკებიანი აღმოჩნდა მწერლისათვის, „ფიცის კაცთა“ შთამომავალს ერთი ლექტორი, შეურაცხმყოფელი გამოხდომის გამო, დუელში გამოუწვევია. დუელი „ქართველი პრინცის“ გამარჯვებით დასრულებულა.

დუელში ჩაბმა ნიკო ლორთქიფანიძეს კიდევ ერთხელ მოუხდა რუს ოფიცერთან, რომელმაც ქართველები მასხრად აიგდო.

ორივე დუელის თვითმხილველნი საგანგებოდ აღნიშნავდნენ მწერლის ღირსეულ ქცევას და მოწინააღმდეგის მიმართ გამოჩენილ დიდსულოვნებას (პირველ დუელში მან მსუბუქად დაჭრა ხელში მოწინააღმდეგე, მეორედ კი განგებ აიცილა ტყვია).

1907 წელს ნიკო ლორთქიფანიძე, ისე რომ სასწავლებელი არ დაუმთავრებია, თბილისში დაბრუნდა. 1907-08 წლებში გერმანულის მასწავლებლად მუშაობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ეწეოდა პუბლიცისტურ და საგამომცემლო საქმიანობას, რედაქტორობდა გაზეთს „ერი“, რომელიც ხელისუფლებამ დახურა ეროვნული პოზიციის გამო. 1912-25 წლებში ქუთაისში ცხოვრობდა, სადაც საადგილმამულო ბანკში დამფინანსებლად მოეწყო. აქვე დაოჯახდა. ქუთაისში ყოფნის დროს ნიკო ლორთქიფანიძე არაერთ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს დაუახლოვდა: ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, კოლაუ ნადირაძეს, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვებს.

1925 წლიდან ნიკო ლორთქიფანიძე ისევ თბილისში გადავიდა და პედაგოგიური მოღვაწეობა განაგრძო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც უცხო ენების კათედრას განაგებდა. პედაგოგობა მას სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია.

მწერალი საგამომცემლო საქმიანობითაც იყო დაკავებული. 1910-11 წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ყოველკვირეული ჟურნალი „ცხოვრება და ლიტერატურა“. 1917 წლიდან მუშაობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთ „სამშობლოს“ პასუხისმგებელ მდივნად, მოგვიანებით კი ამავე გაზეთის რედაქტორი გახდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუთაისში ნიკო ლორთქიფანიძის რედაქტორობით გამოდიოდა ლიტერატურული ალმანახი „კრებული“.

ნიკო ლორთქიფანიძეს თანამედროვენი ახასიათებენ დიდსულოვან, იშვიათი რაინდული თვისებებით გამორჩეულ, არისტოკრატული ბუნების, მოკრძალებულ და ამავე დროს, მუდამ ნაღვლიან ადამიანად.

ირგვლივ მყოფნი განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდნენ ამ არისტოკრატიული მანერების მქონე კაცს, რომლისთვისაც ყველაფერზე მაღლა ადამიანის ღირსება იდგა.

მწერლის ცხოვრების უკანასკნელი წლები ჩვენი ქვეყნის შავბნელ პერიოდს დაემთხვა. უკულმართი დროებით შეწუხებული მწერალი ჩუმად, უპრეტენზიოდ ცხოვრობდა და ხელისუფალთა თავს არიდებდა. ხშირად უნახავთ შებინდებისას რუსთაველის გამზირზე მარტო მოსეირნე, ფიქრებში ჩაფლული, თვალებში ნაღველჩამდგარი.

ნიკო ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი ალექსანდრე აბაშელი წერდა:

შუაღამის ჟამს გამოჩნდება ჩაფიქრებული,
ნელი ნაბიჯით ამოჰყვება რუსთველის ქუჩას,
თითქოს უხილავ ჩვენებათა ახლავს კრებული,
ვერავის ამჩნევს და თვალებში ნაღველი უჩანს.

პაოლო იაშვილმა კი მას ასეთი სტრიქონები მიუძღვნა:

ხარ მოელვარე ვით სატევარი,
ემორჩილები მზეს და იადონს,
მომეცი ნება, როგორც ეწევარი,
ლექსი გაჩუქო ბუნებით ბატონს.

გიორგი ჯიბლაძემ გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ნახა: „მძიმე ავადმყოფი იყო თეთრ ზეწარში გახვეული, საწოლზე წამომჯდარი იღიმოდა! ეს იყო ანგელოზის ღიმილი ანგელოზის თვალებით! იგი თავის ტკივილთან და ფიქრებთან ერთად გარდაიცვალა...“

ნიკო ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1944 წლის 25 მაისს, 64 წლისა, დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, საიდანაც 1954 წელს დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

ხვალ რომ არჩევნები იყოს...

გაზეთმა „შირაქმა“ ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა- **ხვალ რომ არჩევნები იყოს, რომელ პარტიას ან მაჟორიტარობის რომელ კანდიდატს მისცემდით ხმას?** გამოიკითხა 500 ადამიანი. გამოკითხვა ჩატარდა ქ. დედოფლისწყაროსა და ე.წ. მაჩხაანის ზონის სოფლებში. კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა 100-მა ადამიანმა. კვლევა ტარდებოდა ანონიმურად, ანკეტური წესით და მოიცავდა მოსახლეობის ყველა ფენას, განსაკუთრებით მათ, ვისთანაც ჩვენი გაზეთი ვრცელდება. მართალია, ისევე როგორც ყველა კვლევა, ეს მონაცემიც არ ასახავს ზუსტ სურათს და ცთომილებების 3%-იანი ალბათობა არსებობს. ზუსტი სურათი არჩევნების შემდეგ გახდება ცნობილი, თუმცა, არჩევნებამდე „შირაქის“გამოკითხვის შედეგები ასე გამოიყურება:



დანარჩენმა პარტიების რეიტინგი კი ასე გამოიყურება – „თოფაძე-მრეწველებსა“ და „ეროვნულ ფორუმს“ გამოკითხულთა 1%-მა მისცა ხმა, „ზვიადის გზა-უფლის სახელით“ კი 0,7%-ის არჩევანია, ხოლო რაც შეეხება მაჟორიტარობის კანდიდატებს- ბეჟან ნათელაძეს, მამუკა გურაშვილსა და კახა მამაიაშვილს გამოკითხულთა 1% მისცა ხმა.

ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა დღეს ეთიკის კოდექსს მოაწერეს ხელი

ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა დღეს ეთიკის კოდექსს მოაწერეს ხელი. ქვეყნის მასშტაბით ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში დოკუმენტს ხელი ერთდროულად მოეწერა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული კოდექსი ქცევის რამდენიმე ძირითად ნორმას აერთიანებს, ესენია: კანონის პატივისცემა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა და პროფესიონალიზმი. „ეთიკის კოდექსზე ხელმოწერით ჩვენ ვთანხმდებით რომ პატივს ვცემთ კანონს. ვიქნებით ჩვენ საქმიანობაში პროფესიონალები და ჩვენი საქმიანობა აუცილებლად იქნება მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი. დავიცავთ გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებს, რაც მნიშვნელოვნია საარჩევნო პროცესში. ეს არ გახლავთ სიმბოლური ხელმოწერა, ეს არის აღიარება, რწმენა და ქცევაში გათავისება ყველა ამ ღირებულების და პრინციპის, რასაც საარჩევნო ადმინისტრაცია დღეს ხელმოწერით იზიარებს და ეთანხმება“,- აღნიშნა ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ კოდექსზე ხელმოწერის შემდეგ.კოდექსის თანახმად საარჩევნო კომისიების წევრები ვალდებული არიან უზრუნველყონ საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტი და თანმიმდევრული განხორციელება, ფუნქციების შესრულებისას იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები; უზრუნველყონ საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა

პირთათვის თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნა.ეთიკის კოდექსი არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებისა და ამომრჩეველთა მხრიდან ნდობის ამაღლების მიზნით შემუშავდა. პირველად მსგავს დოკუმენტს 2010 წელს მოეწერა ხელი.

„ცოცხალი წიგნები“ დედოფლისწყაროში

6 ოქტომბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით, ლიტერატურული პროექტის **„ცოცხალი წიგნების“** ფარგლებში, დედოფლისწყაროს თანამედროვე მწერლები: ლია ლიძოკელი, რუსუდან კაიშაური, გელა ახალია, ნანა ქარდავა, გივი ჩიღვინაძე, დავით ჭელიძე, ზურაბ პაპიაშვილი და მარიამ წიკლაური ეწვევიან.

სტუმრები საზოგადოებას საკუთარ შემოქმედებას წარუდგენენ, გააცნობენ როგორია ცოცხალი ლიტერატურული შემოქმედების პროცესი. პროექტის ფარგლებში ისინი ბიბლიოთეკებს და მუზეუმებს ესტუმრებიან.

შეხვედრა გაიმართება სოფელ მირზაანში 11.00 საათზე, ხოლო ქალაქ დედოფლისწყაროში – 14.00საათზე.

ულოცავენ!

ნინო წიკლაურს! გიორგი მანაგაძეს!

სს „არწივის ხეობის“ თანამშრომლები ულოცავენ ნინო წიკლაურსა და გიორგი მანაგაძეს შვილიშვილების ლუკასა და დავითის დაბადებას. ახალდაბადებულებს ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და უღრუბლო ზეცას.

ყურადღება!

ვცხოვრობ ქალაქ დედოფლისწყაროში; შემიძლია ვიმუშაო ძიძად, მომვლელად ან ოჯახში დამხმარედ.

შეგიძლიათ დამიკავშირდეთ ტელეფონზე:

☎ 568364178.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 03.10	სამშაბათი 04.10	ოთხშაბათი 05.10	ხუთშაბათი 06.10	პარასკევი 07.10	შაბათი 08.10	კვირა 09.10
დღე	13 °	14 °	15 °	16 °	16 °	15 °	12 °
ღამე	12 °	12 °	13 °	14 °	14 °	13 °	9 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.